დამტკიცებულია

შპს გია მურღულიას უნივერსალური სკოლის
დირექტორის 2026 წლის 20 აპრილის N2-17 ბრძანებით

შპს გია მურღულიას უნივესალური სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა

(კონცეპტუალური ნაწილი)

2026

წელი

სარჩევი:

შესავალი 2
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფია 2
პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი 7
ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები 9
მოსწავლის მოტივაციის გაზრდა 10
დისციპლინა 10
მოსწავლეთა ჩართულობა 10
საგნობრივი კათედრები 11
მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში 11
სადამრიგებლო პროგრამა 12
სადამრიგებელო დებულება 12
მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში 12
ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები 13
სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესების აღწერა 14
სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი 14
კურიკულიმის განვითარების მეთოდოლოგია 15
პერსონალის მართვა და განვითარება 15
ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება 15
მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა 16
საინფორმაციო რესურსები 16
ფინანსური რესურსები 17
მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები 17
შინ სწავლება 18
შეფასების ზოგადი სქემის ნიმუშები 18
ჟურნალი 18
ინკლუზიური განათლება 19
სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება 23
წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები 25
კლასგარეშე ღონისძიებები 25
მშობლებთან ურთიერთობა 25
დასკვნითი დებულება 26

შესავალი

2025-2026 სასწავლო წლის სკოლის სასწავლო გეგმა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. დაწყებითი საფეხური მოიცავს I-VI კლასებს, საბაზო საფეხური - VII-X კლასებს, ხოლო საშუალო საფეხური- XI-XII კლასებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფია

სკოლამ 2025-2026 სასწავლო წლისთვის დაარსების მომენტში, დირექციის ჩართულობით შეიმუშავა სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა და ღირებულებები).

მისია - გია მურღულიას უნივერსალური სკოლის **მისიაა**

„გია მურღულიას უნივერსალური სკოლის“ მისიაა ქართველის, საქართველოს მოქალაქის აღზრდა, რომლისთვისაც მთავარია ეროვნული ღირებულებების შესწავლა, გააზრება, ერთგულება და ცხოვრების პრინციპად ქცევა; ამავე დროს - მოსწავლის მსოფლიო კულტურის მემკვიდრედ ჩამოყალიბება.

ჩვენ ვიცით და გვწამს, რომ ქართულმა სკოლამ უნდა აღზარდოს ახალგაზრდა, რომელიც აღჭურვილი იქნება აზროვნების კულტურით, თანამედროვე ცოდნით, პიროვნული და პროფესიული წარმატებისთვის აუცილებელი უნარებითა და ღირებულებებით.

ჩვენ გვსურს, მოსწავლემ დროის სამივე განზომილებაში (წარსული - საიდან მოდის, აწმყო - სად არის, მომავალი - საით მიდის) შეიცნოს თავისი თავი და გაიაზროს პიროვნებად ჩამოყალიბებისა და განვითარების დინამიკა.

სკოლის ღირებულებები:

- **თავისუფლება და პასუხისმგებლობა** - ჩვენ გვჯერა, რომ განათლება ადამიანს აძლევს თავისუფლებას, ხოლო თავისუფლება მოითხოვს პასუხისმგებლობას საკუთარი თავის, სხვა ადამიანის, საზოგადოების, ქვეყნისა და მომავლის წინაშე.
- **აღიარება** - ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნაა პიროვნების განუმეორებლობის აღიარება.
- **ღირსება** - სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ღირსება ხელშეუხებელია.
- **დაფასება** - ჩვენთან დაფასებული და მხარდაჭერილია უკეთესი სწავლისა და სწავლების ყველა მცდელობა და ინიციატივა,
- **განვითარება** - ჩვენ ვაღიარებთ და ვიცავთ პრინციპს: "აჯობე შენ თავს - არც ერთი დღე განვითარების გარეშე!"
- **გამბედაობა** - გამოწვევა ჩვენთვის განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა; ჩვენ გვიზიდავს სიახლეები.
- **სინერგია** - ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის სოციალური და ინტელექტუალური სინერგიის ძალა.
- **აზროვნება** - ის, რაც არის ყველგან და ყოველთვის ჩვენს სასკოლო ცხოვრებაში, ეს აზროვნების კულტურაა.

- **კვლევა** – ჩვენ გვეგმავთ, ვმოქმედებთ და ვვითარდებით მხოლოდ კვალიფიციური კვლევით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
- **შემოქმედება** – ჩვენ ვსწავლობთ და ვასწავლით „შექმნას“, ვავითარებთ „შექმნისკენ“ სწრაფვას, რადგან გვჯერა, რომ ადამიანი უნდა იყოს საზოგადოებრივი ფასეულობების, პროგრესის, საყოველთაო კეთილდღეობისა და პირადი ბედნიერების შემოქმედი.
- **ბედნიერება** – ჩვენი სკოლა მოსწავლეებისა და მასწავლებლების ბედნიერების ადგილია; ურთიერთობებთან და მიღწევებთან ერთად, ეს არის სწავლისა და სწავლების პროცესით მიღებული სიამოვნება და განცდილი სიხარული.
- **ზრუნვა** - ჩვენს სკოლაში მოსწავლეები ზრუნავენ ერთმანეთზე, მასწავლებლები - მოსწავლეებსა და კოლეგებზე, ადმინისტრაცია - სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრზე და ყველა ერთად - სკოლის გარემოსა და ღირებულებებზე.

სკოლის ხედვა

გია მურღულიას უნივერსალური სკოლა ეფუძნება მსოფლიო და ქართული საუკეთესო პედაგოგიკური აზროვნების გამოცდილებას და ქმნის თავის საკუთარ, საავტორო ხედვასა და საგანმანათლებლო კულტურას.

სკოლა აცხადებს, რომ არსებით ამოცანად ისახავს ისეთი ქართული სკოლის შექმნას, რომელიც განათლების ხარისხით კონკურენციას გაუწევს საუკეთესო საერთაშორისო ანალოგებს.

რატომ „უნივერსალური“?

სკოლა აცხადებს, რომ მის მიზანს წარმოადგენს:

1. მოსწავლის ყოველმხრივი (ინტელექტუალური, ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური) განვითარება;
2. სწავლებისა და აღზრდის ჰარმონიული თანაფარდობის დაცვა;
3. დასავლური და აღმოსავლური ღირებულებების სინთეზი სასწავლო და აღმზრდელობით პროცესში;
4. მოსწავლის ფიქრის, მეტყველებისა და ქცევის მიზანმიმართული ჩამოყალიბება და დახვეწა.

მიზნის მისაღწევად და ამოცანის გადასაწყვეტად სკოლა საზოგადოებას სთავაზობს თანამედროვე სტანდარტის ინფრასტრუქტურას და ქმნის მენეჯერთა, პედაგოგთა და თანამშრომელთა ისეთ გუნდს, რომელსაც ყველაზე მაღალი აკადემიური, ორგანიზაციული და აღიარებულ წარმატებაზე ორიენტირებული მოთხოვნების დაკმაყოფილება შეუძლია.

I. სკოლის მთავარი პრინციპი

სკოლა აცნობიერებს, რომ სასწავლო დაწესებულება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საგანთა სწავლებით (თუნდაც ყველაზე მაღალი სტანდარტით) - მისი ამოცანა პიროვნების ჩამოყალიბება და განვითარებაა.

აქ პირველივე კლასიდან მოქმედებს მოსწავლეში რაციონალური ემოციის ანუ „გონიერი გულის“ დაბადებისა და განვითარების პედაგოგიკური პრინციპი.

მისი რეალიზება სამ არსებით მომენტს გულისხმობს:

- საგანთა სწავლებას
- ცხოვრებისეული უნარების (ნებისყოფა, შრომისმოყვარეობა, ალგორითმის გააზრება, ფსიქოლოგიური მდგრადობა წარუმატებლობის მიმართ...) ჩამოყალიბება/განვითარებას
- ღირებულებათა სისტემის (სიკეთე, ემპათია, სიყვარული, პასუხისმგებლობა, პატრიოტობა, შემწყნარებლობა...) ფორმირება.

სკოლა საამისოდ იყენებს პიროვნების განვითარების პედაგოგიკურ ტექნოლოგიასა და მეთოდოლოგიას, რომელიც საავტორო საგანმანათლებლო ხედვას ეფუძნება და სასწავლო-აღმზრდელობით პრაქტიკაში მუდმივად ვითარდება.

ამ კონტექსტში ცოდნა არა მიზანი, არამედ საშუალებაა - მიზანი ყოველთვის ადამიანია, რომელშიც პიროვნება იბადება და ცოცხლობს.

ჩვენთვის მოსწავლე ყოველთვის მიზანია.

რაკიღა გვწამს, რომ ყველა ადამიანი თავისებურად ნიჭიერია, ყველაფერი იმისთვის გაკეთდება, რომ მასში აღმოვაჩინოთ ტალანტი, ცხოვრების მთავარი მისწრაფება და დავეხმაროთ მას ამ შესაძლებლობის შეცნობასა და განვითარებაში.

სკოლა აღზრდის ისეთ ადამიანს, რომელშიც რეალიზდება ჩვენი სასწავლო დაწესებულების სლოგანი: „განათლება - თავისუფლება - პასუხისმგებლობა“.

ამ მიზნის კვალდაკვალ ყალიბდება შემდეგი ტრიადა:

- ადამიანის აზროვნების ხარისხი
- ადამიანის ხასიათი
- ადამიანის გაცნობიერებული მოვალეობა

I. საგანმანათლებლო მოდელის ბირთვი - სამსაფეხურიანი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი

სკოლის სლოგანი სასწავლო პრაქტიკაში ასეთ სახეს იძენს:

A. განათლება (“ვიცი”)

- ფაქტები
- კონცეფტები
- ლოგიკა
- ინტელექტუალური დისციპლინა

B. თავისუფლება („ვაზროვნებ“)

- კრიტიკული ზროვნება
- თავისუფალი ნება - არჩევანის უნარი
- შემოქმედებითობა
- აზრის ჩამოყალიბებისა და გამოხატვის უნარი

C. პასუხისმგებლობა („ვმოქმედებ“)

- დამოუკიდებელი გადაწყვეტილება
- ქმედება
- შედეგზე პასუხისგება

ეს სამი განზომილება უნდა ჩანდეს და ცოცხლობდეს ყველა გაკვეთილში.

II. გაკვეთილის ფორმატი

ეს ფორმატი სკოლის სახეს არსებითად განსაზღვრავს და სისტემურ პედაგოგიკურ კულტურას ამკვიდრებს.

გაკვეთილის ალგორითმს ქმნის ოთხი კითხვის მეთოდოლოგია:

- რა? - ცოდნა
- რატომ? - მიზეზი
- როგორ? - ლოგიკა და მოქმედება
- რისთვის? - მიზანი

ყოველ გაკვეთილს მსჭვალავს და საერთოკულტურული მიზნისკენ წარმართავს ეს ოთხი კითხვა და მათზე პასუხები.

აქედან გამომდინარე, სკოლის ნებისმიერი გაკვეთილი არა მხოლოდ ინფორმაციის ხატსა და მნიშვნელობას, არამედ გაცნობიერებულ საზრისს ქმნის.

III. სკოლას აქვს თავისი აღზრდის სისტემა, რომელიც ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო და ეროვნულ პედაგოგიკურ კულტურასა და სკოლის კონცეფციის ავტორის ხანგრძლივ წარმატებულ გამოცდილებას.

ეს სისტემა მოიცავს სასკოლო ცხოვრების „ტრიადიდან“ (საგანთა სწავლება, უნარები, ღირებულებები) მეორესა და მესამეს.

აღზრდის სისტემის პროფესიული რეალიზება უზრუნველყოფს მოსწავლის ინტელექტუალურ, ეთიკურ, ესთეტიკურ და ფიზიკურ განვითარებას.

ეს ოთხი მომენტი მოსწავლეს ამზადებს რეალური ცხოვრებისთვის, კონკურენციისთვის და ქმნის წარმატების მკაფიო ორიენტირებს.

IV. სავალდებულო საგანი-ბრენდი

სკოლის აღზრდის სისტემა ითხოვს ისეთი მიმართულებისა (დაწყებითი განათლების ეტაპზე) თუ საგნის (საბაზო და საშუალო საფეხურზე) შემოღებას, რომელიც ამ სისტემაში ჩამოყალიბებულ მიზნებს, მოთხოვნებსა და ამოცანებს არა მხოლოდ თეორიულად გააზრებინებს მოსწავლეებს, არამედ მათი პრაქტიკული ცხოვრებისეული გამოცდილების ნაწილად აქცევს.

ამ საგანმანათლებლო მიმართულებასა თუ საგანს „აზროვნება და ცხოვრება“ დავარქვით.

ის რამდენიმე არსებით განზომილებას მოიცავს.

ესენია:

- ფილოსოფიის სასკოლო კურსი
- ლოგიკა
- ეთიკა
- ესთეტიკა
- ბიბლიის გაკვეთილები
- გადაწყვეტილების მიღება
- შეფასება და პასუხისმგებლობის ანალიზი

ცხადია, დაცული იქნება შესატყვისობის პრინციპი - სკოლის თითოეულ საფეხურზე ამ მიმართულებისა თუ საგნის ისეთი „ულუფები“ შევა, რომლებიც მოსწავლეთა ასაკობრივ ფსიქოლოგიას სრულად გაითვალისწინებს.

ამგვარ სწავლებას უფროს კლასებში ემატება გია მურღულიას საავტორო საგანმანათლებლო პროგრამები („მცირე პროზა“; „ფიქრი ფიქრზე“, „ფილმმი“, „ფილოსოფია უფროსკლასელთათვის“; „ბიბლიის საზრისები“)

V. სამი უნიკალური პრაქტიკა

საგაკვეთილო სისტემა მოიცავს სამ მნიშვნელოვან პედაგოგიკურ სტანდარტს (არა ყოველ გაკვეთილზე, მაგრამ საკმაო სიხშირით):

- **დუმილის დრო** (1-2 წუთის განმავლობაში მოსწავლე ეძიებს გაკვეთილის მთავარ კითხვას; ეს ქმნის შინაგან თავისუფლებასა და პასუხისმგებლობასაც საკუთარ განვითარებაზე)
- **პასუხისმგებლობის პროექტი** (სემესტრში ერთხელ/ორჯერ ბავშვი რეალურად აკეთებს ამა თუ იმ მასშტაბით საჭირო და ასაკისთვის შესაფერის სასარგებლო საქმეს - სკოლაში, თემში, ქალაქში, საზოგადოებაში; ამ დროს ის შეიგრძნობს და სწავლობს საქმისა და პასუხისმგებლობის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს; იძენს სოციალური სტატუსის მოპოვების გამოცდილებას)
- **სიტყვიდან - საქმემდე** (ამ კონტექსტში, სათანადო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს გაცემული პირობის მნიშვნელობა, გაიაზროს სიტყვის საქმედ ქცევის ალგორითმი და იფიქროს გაკეთებული საქმის მდგრადობაზე - ცხადია, ეს მომენტიც სრულად გულისხმობს ბავშვთა ასაკობრივი ფსიქოლოგიის მონაცემებსა და რეკომენდაციებს).

  ხსენებული პედაგოგიკური სტანდარტები თანაბრად ეხება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებას.

VI. შეფასების სისტემა

ეს სისტემა გულისხმობს ორ არსებით „განშტოებას“;

- აკადემიურს
- აღმზრდელობითს

სკოლა არასდროს შემოიფარგლება მხოლოდ მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასებით (ამ მიმართულებით კარგად გააზრებული ათბალიანი სისტემა გვაქვს).

ფასდება სამივე მიმართულება:

- „ვიცი“ (ცოდნა)
- „ვაზროვნებ“ (ანალიზი)
- „ვმოქმედებ“ (პასუხისმგებლობა)

შეფასების ასეთი სისტემა მოსწავლის სასკოლო ცხოვრებას სრულად და სრულფასოვნად აფასებს.

წარმოდგენილი საგანმანათლებლო სისტემა არის ფილოსოფიური, პრაქტიკული, ორგანიზებული და მართვადი.

ის ამკვიდრებს პროგრესულ საგანმანათლებლო იდეას:

„ჩვენ ვზრდით თავისუფალ, მოაზროვნე, კონკურენტუნარიან და პასუხისმგებელ ადამიანს“.

შემოთავაზებული სისტემა გულისხმობს:

- კარგად გააზრებულ სასკოლო ინფრასტრუქტურას
- მართვის გონივრულ სისტემას
- სწავლებისა და აღზრდის პროგრესულ მოდელებს
- პროფესიული და კარგად მოტივირებული პედაგოგიკური გუნდის ჩამოყალიბებას
- მუდმივ კონტაქტსა და თანამშრომლობას მშობლებთან და თემთან

ჩვენ ვქმნით ისეთ სივრცეს, რომელშიც შესაძლებლობები და მიზნები ჰარმონიულად თანაარსებობენ.

ჩვენ მზად ვართ იმისთვის, რომ სწავლებისა და აღზრდის ყველაზე მაღალი

სტანდარტები დავაკმაყოფილოთ.

პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობა სასწავლო პროცესი

სკოლა უზრუნველყოფს:

ა) სიღრმისეულ სწავლას;

ბ) პოზიტიურ სასწავლო გარემოს;

გ) ინკლუზიურ განათლებას.

1.სიღრმისეული სწავლა-სწავლება გულისხმობს:

ა) მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას;
ბ) ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას;
გ) ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას;
დ) სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა);
ე) მყარი, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის შეძენას.

2. სკოლა უზრუნველყოფს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, რომელშიც მოსწავლე თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ და ახერხებს შემდეგი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამოვლენა-განვითარებას:

კრიტიკული აზროვნება	მოსწავლეს ეძლევა ფაქტების ანალიზის, იდეების გენერირებისა და ორგანიზების, მოსაზრებების დაცვის, შედარების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტების შეფასებისა და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა;
შემოქმედებითი აზროვნება	მოსწავლეს ეძლევა საშუალება შეაფასოს პრობლემა და გამოწვევა სხვადასხვა პერსპექტივიდან, ჩამოაყალიბოს ალტერნატიული პასუხები და ხედვები, დაგეგმოს და შეიმუშაოს პრობლემის გადაჭრის საკუთარი მოდელი;
თანამშრომლობა	მოსწავლეს ეძლევა საშუალება წარმატებით იმუშაოს სხვებთან ერთად საერთო მიზნის მისაღწევად. გაიაზროს საერთო პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან ერთად. გააცნობიეროს გუნდური მუშაობის პრინციპები და ურთიერთობის ფორმები;
კომუნიკაცია	მოსწავლეს ეძლევა საშუალება დაამყაროს მიზნობრივი ურთიერთობა სხვებთან და გამოხატოს საკუთარი თავი, როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად კულტურისა და სიტუაციის შესაბამისად; იყოს აქტიური, კეთილგანწყობილი, ემპათიური მსმენელი, განახორციელოს უკუკავშირი და რეფლექსია; გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა კომუნიკაციის პროცესში;
ხასიათი/ნებელობა	მოსწავლეს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების შესწავლის, იდენტობის გააზრების, სწავლის პროცესის მართვის შესაძლებლობა. მხარდაჭერილია მოსწავლის პიროვნული ზრდის მოთხოვნილებები და წახალისებულია მისი თვითაქტუალიზაციის პროცესი; სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;

მოქალაქეობა	მოსწავლეს ეძლევა საშუალება სხვათა ღირებულებებისა და ფასეულობების გათვალისწინებით იმსჯელოს და იფიქროს იმ გლობალური/კომპლექსური საკითხების გაანალიზებასა და მოგვარებაზე, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანისა და გარემოს მდგრადობაზე. გააცნობიეროს უნივერსალური ეთიკის პრინციპები და ინდივიდის როლი და თანაშემოქმედებითობა საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

3. ინკლუზიური განათლება გულისხმობს:

ა) ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაცვას;

ბ) მრავალფეროვნების დაფასებას;

გ) რესურსების თანაბრად განაწილების პოლიტიკას;

დ) დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასებას;

ე) ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს; სწავლა-სწავლების პროცესში სწავლების უნივერსალური დიზაინის გამოყენებას;

ვ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფას;

ზ) მოსწავლის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი საგანმანათლებლო გამოცდილების მართვაში; განივითაროს საკუთარი პოტენციალი და გახდეს მის გარშემო მიმდინარე პროცესების აქტიური მონაწილე;

თ) სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს უნდა გრძნობდეს სასკოლო თემის ნაწილად და საკუთარი წვლილი შეჰქონდეს მის განვითარებაში.

ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა

სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ცდილობს სწავლა-სწავლების დროს მაქსიმალურად გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ყველა მოსწავლე უნიკალური და განსხვავებულია თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით.

სკოლაში სწავლა მიმდინარეობს გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს.

სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა

სკოლაში არ ხდება მოსწავლეების განაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით.

განვითარების თანაბარი შესაძლებლობის მისაცემად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მრავალფეროვან სასწავლო პროცესს.

სასწავლო პროცესის მრავალფეროვნება გულისხმობს მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებას.

მოსწავლის მოტივაციის გაზრდა

მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი სწავლების პროცესში ცდილობს მაქსიმალურად გაზარდოს თითოეული მოსწავლის მოტივაცია. სკოლის მასწავლებლების პრიორიტეტი მოსწავლეთა წინსვლის ხელშეწყობაა და არა მათი შედეგების განსჯა-შეფასება. პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეებს დაანახონ დავალების მიზანი, დაარწმუნონ მის საჭიროებაში. გააგებინონ, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება, დაანახონ კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის.

დისციპლინა

სკოლას სურს მოსწავლეებს განუვითაროს საკუთარი მოვალეობების გააზრების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უნარ-ჩვევები. სკოლის მასწავლებელთა მაგალითი გადამწყვეტია სკოლაში მშვიდი და საქმიანი გარემოს შესაქმნელად; ადმინისტრაციული ზომები, რომლებსაც სკოლა გამოიყენებს მოსწავლეებისადმი დისციპლინური ღონისძიებების გატარებისას ისეა დადგენილი, რომ მოსწავლეთა ღირსება არ შეილახოს და ეყრდნობა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს; „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №79/ნ ბრძანებას (შემდგომში – მოსწავლის ქცევის კოდექსი); „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანებას (შემდგომში – მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი); სკოლის შინაგანაწესს და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს.

მოსწავლეთა ჩართულობა

თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების განსაკუთრებულ აქტიურობას. ეს გულისხმობს ჩვენი სკოლის მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ

მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში თანამონაწილეობასაც. გაკვეთილებზე ჯგუფური მუშაობისას, პროექტებში მონაწილეობისას, ღონისძიებების დაგეგმვისა თუ განხორციელებისას მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან სხვადასხვა კონცეფციის უკეთესად გაგებაში, უნარ-ჩვევების დაუფლება-განვითარებაში და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

საგნობრივი კათედრები

საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

სკოლის საგნობრივი კათედრების შექმნის მიზანია კოორდინირება გაუწიოს საგნის ან საგნების სწავლებას, იზრუნოს კეთედრის წევრი მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, ხელი შეუწყოს სკოლისათვის სასარგებლო აქტივობების დაგეგმვას და განხორცელებას. პროფესიული გამოცდილების გაზიარება, კვლევა, ერთობლივი დაგეგმვა სასწავლო პროცესის და პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილება და.ა.შ.), უზრუნველყოს კათედრის წევრების და სხვა საგნობრივ კათედრების სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ ინფორმირება; ახალი გამოწვევების და სიახლეების სასწავლო პროცესში დანერგვის მექანიზმების შემუშავებას. განახორციელოს შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და იდენტიფიცირებული პრობლემების ანალიზი. ემსახუროს სკოლის მისიისა და კათედრის დებულების განხორციელებას.

სკოლის საგნობრივი კათედრების მუშაობა რეგულირდება კათედრის დებულებით. (იხ.საგნობრივი კათედრების დებულება)

სკოლაში ფუნქციონირებს 4 კათედრა:

1. **დაწყებითი განათლების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-II კლასის ინტეგრირებული და III-VI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და ინგლისური ენის მასწავლებლები.
2. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების, ისტორიის/ჩვენი საქართველოს, მოქალაქეობის/მე და საზოგადოების, გეოგრაფიის მასწავლებლები.
3. **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, კომპიუტერული ტექნოლოგიების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის მასწავლებლები.
4. **ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების/ხელოვნების ისტორიის, მუსიკის, ფიზიკური აღზრდის, ჭადრაკის მასწავლებლები.

მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში

2025-2026 სასწავლო წელს კლასში მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება ოთახების ფართის

გათვალისიწინებით, მაგრამ არაუმეტეს 18 მოსწავლისა.

სადამრიგებლო პროგრამა

ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომელსაც ბრძანებით განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

ყველა კლასის დამრიგებელი შეიმუშავებს პროგრამას სადამრიგებლო საათის განხორციელების, დაგეგმილი კლასგარეშე ღონისძიებების შესახებ და ა.შ.

სადამრიგებელო დებულება

სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო დებულება, რომელიც არეგულირებს დამრიგებლის მუშაობის მიზანს, მოვალეობებს, სადამრიგებლო საათის ჩატარების წესსა და მიმართულებებს

მოსწავლეთა უფლებების დაცვა სასწავლო პროცესში

სკოლა იცავს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონით აღიარებულ მოსწავლის უფლებებსა და თავისუფლებას. მათ შორის:

1. სკოლა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის.
2. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით.
3. სკოლა იღებს ყველა გონივრული ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. დაუშვებელია, მოსწავლის აკადემიური შეფასება განპირობებული იყოს მისი დისციპლინით.
4. სკოლაში ჩარიცხული ყველა მოსწავლე დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან.
5. სკოლის ტერიტორიაზე და სასკოლო დროს უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები.
6. სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით.
7. სკოლაში სასკოლო დისციპლინა დაცულია სკოლის შინაგანაწესით.
8. სკოლის მოსწავლე სარგებლობის მობილობის უფლებით, რის შესახებაც ინფორმირებულია მოსწავლის მშობელი.
9. სკოლის ყველა მოსწავლე და მშობელი ფლობს ინფორმაციას საკუთარი და სხვა მოსწავლეების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ, რის გაცნობასაც უზრუნველყოფს სკოლა დამრიგებლების მეშვეობით.

10. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას სკოლის მართვაში (მოსწავლეთა თვითმმართველობა).
11. სკოლა მოსწავლის მიმართ ქმედების განხორციელებისას გადაწყვეტილებას იღებს მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინებით.
12. მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მის მიმართ მიღებული უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები.

ტრანზიციის მხარდამჭერი აქტივობები

1. სკოლაში ჩარიცხული მოსწავლეების ადაპტაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
2. ადაპტაციის წესით სკოლა მიზნად ისახავს დაეხმაროს მოსწავლეს შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;
3. სკოლა ადგენს დეზადაპტაციის ნიშნებს და მიმართავს შესაბამის ზომებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის გაადვილების მიზნით.
4. დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში/საქმისწარმოების მენეჯერი შესაბამისი კლასის დამრიგებელს აწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და წინა სკოლიდან მიღებულ პირად საქმეს;
5. აღიარების საფუძველზე სკოლაში ჩარიცხული მოსწავლის შემთხვევაში, სკოლის საქმისმწარმოებელი აწვდის კლასის დამრიგებელს მოსწავლის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების შესახებ ინფორმაციას;
6. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
7. ახალი მოსწავლის დასწრების პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს კლასის ახალ მოსწავლეს და აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
8. ზოგადად დამრიგებელი პირველივე სადამრიგებლო საათს იყენებს მოსწავლეთა გაცნობისა და დაახლოებისთვის;
9. დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ;
10. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

სკოლის განვითარების ხელშემწყობი პროცესების აღწერა

სტრატეგიული გეგმის განვითარება

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის ფილოსოფიიდან.

სტრატეგიული გეგმის განვითარების პროცესში ჩართული არიან შემდეგი მხარეები:

ა) სკოლის დირექტორი და დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

ბ) სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი).

SWOT ანალიზი

სკოლა ახორციელებს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც ხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა.

SWOT ანალიზით განისაზღვრება ოთხი ძირითადი მიმართულება:

ძლიერი მხარეები;

სუსტი მხარეები;

შესაძლებლობები;

საფრთხეები;

SWOT ანალიზის დროს სისუსტეების გამოვლენა ემსახურება იმ მიზანს, რომ ისინი არსებული შესაძლებლობის ფარგლებში დაძლეულ იქნეს და ტრანსფორმირდეს სკოლის ძლიერ მხარეებად. საფრთხეების წინასწარი შეფასება კი საშუალებას იძლევა, რომ სკოლა მზად დახვდეს სავარაუდო გამოწვევებს.

SWOT ანალიზის საფუძველზე ხორციელდება სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

სტრატეგიულ გეგმასა და SWOT ანალიზზე დაყრდნობით სკოლას შემუშავებული აქვს 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც აზუსტებს მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, შესრულების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შესრულების ინდიკატორებსა და შესაბამის რესურსებს.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი

1. სტრატეგიული გეგმის განვითარების პროცესში სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს, რომელიც უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ. ასევე, ხელს უწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას.
2. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები.

3. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების საკითხები რეგულირდება შესაბამისი მეთოდოლოგიით.

კურიკულიმის განვითარების მეთოდოლოგია

სკოლას შემუშავებული აქვს „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“, რომლითაც რეგულირდება კურიკულუმის დაგეგმვის; განვითარების; მონიტორინგი და შეფასება; გადასინჯვა და რევიზია

პერსონალის მართვა და განვითარება

პერსონალის მართვისა და განვითარების კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ასევე, სკოლის მიზანია იმგვარი სამუშაო გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალის და პირადი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მოიცავს იმ ამოცანებსა და ღირებულებებს, რომელსაც ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვა, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა არეგულირებს კადრების მოზიდვასა და შერჩევას, მათ ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშემწყობ აქტივობებსა და აღნიშნულ პროცესში ჩართულ პირებს, განსაზღვრავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში განსახორციელებელ აქტივობებს, ადამიანური რესურსების მართვასა და სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვას. ასევე, პროფესიული განვითარებას, მოტივაციის ზრდის მექანიზმებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებს.

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

სასკოლო დროს, სკოლის ტერიტორიაზე სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად.

სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები.

სკოლას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის შემოღებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების საკითხების კონტროლისათვის დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები.
სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი და დამტკიცებულია სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება. სკოლის შენობაში, საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს დაშავებულთათვის გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას.

მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა. ასევე შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსით სარგებლობის პირობები.

სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნადი ფონდი და სხვა რესურსები. შენობაში განთავსებულია საკლასო ოთახები, სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი სივრცეები, როგორიცაა ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, მრავალფუნქციური დარბაზი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლას აქვს ეზო, სადაც განთავსებულია ღია სპორტული მოედანი. სკოლის შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისათვის და უზრუნველყოფილია ინკლუზიური გარემო.

საინფორმაციო რესურსები

სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია როგორც მხატვრული, ასევე სამეცნიერო და საგანმანათლებლო წიგნადი ფონდი, სადაც მოცემულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები. ასევე, კომპიუტერში ჩატვირთულია საინფორმაციო რესურსები როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, სკოლისათვის ხელმისაწვდომია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ შემუშავებული გაიდლაინები, მეთოდური სახელმძღვანელოები და სხვა რესურსები.

სკოლაში უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ღონისძიებებისა და სხვადასხვა პროექტების განხორციელებისათვის, ინფორმაციის მოძიებისთვის. საგანმანათლებლო

მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდი და ასევე, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სკოლას აქვს აქტიური გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), რომლითაც უზრუნველყოფს სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებასა და უკუკავშირის მიღებას.

ფინანსური რესურსები

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია შემოსავალი და ხარჯი. სკოლის შემოსავალი შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან, სასწავლო მომსახურების გადასახადისაგან და დამატებითი ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისგან.

სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი სასწავლო წლის დაწყებისას და წლის განმავლობაში ხორციელდება ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების დაზუსტება. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები

მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება.

სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობას ყველა მოსწავლისათვის. დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში, მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებს.

სკოლაში დაცულია მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები.

დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების, ღონისძიებების და სასკოლო ექსკურსიების შესახებ. მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას და სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაციას.

სკოლა უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველას მოსწავლისათვის, მათ შორის სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო სერვისების შეთავაზებას. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები.
სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის წესი

შინ სწავლება

1. სკოლა ვალდებულია შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.
2. მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის მე-8 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
3. სკოლა ვალდებულია, დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი/მასწავლებლები განახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს.
4. შინ სწავლების პროცესში რეკომენდებულია დისტანციური სწავლების (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) ფორმის გამოყენება.
5. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ 1 გაკვეთილის ჩატარებას.
6. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.
7. მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

შეფასების ზოგადი სქემის ნიმუშები

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით ერთვის შეფასების ზოგადი სქემები (რუბრიკები) საგნების მიხედვით, თუმცა აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ დავალებაზე მასწავლებელს უფლება აქვს გამოიყენოს კონკრეტული შეფასების რუბრიკა.

ჟურნალი

სკოლაში მოქმედებს ელექტრონული ჟურნალი, რომელსაც გააჩნია ოთხი ძირითადი მოდული: მასწავლებლის, მშობლის, მოსწავლისა და ადმინისტრატორის. მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს აქვთ პირადი ნომრები, რომლის საშუალებით შედიან ელექტრონული ჟურნალის სისტემაში.
მშობელს შეუძლია აკონტროლოს თავისი შვილის (შვილების) დღის განრიგი – რა აქვს დავალება, რა შეფასებას იღებს, ესწრებოდა თუ არა ამა თუ იმ გაკვეთილს, ნახოს მასწავლებლის მიერ განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასება.

სკოლაში კომპიუტერები ჩართულია მუდმივ უსადენო (Wi-Fi) და სადენიან ინტერნეტში, მასწავლებლებს საშუალება აქვთ, მარტივად გააკეთონ დასწრების აღირცხვა, შეაფასოს მოსწავლეები და შეიტანონ საშინაო დავალებები, შემაჯამებელი დავალებების შედეგები. გაუგზავნონ მშობლებს შეტყობინებები.

ინკლუზიური განათლება

თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

<u>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე</u>

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში – სსსმ მოსწავლე), რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.

2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:

ა) ფიზიკური შეზღუდვა;
ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
გ) სწავლის უნარის დარღვევა;
დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;
ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;
თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს;
ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში – მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.

4. სსსმ მოსწავლისთვის სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება.

5. მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

6. სასწავლო გარემოს აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში:

ა) ინსტრუქციის აკომოდაცია;
ბ) გარემო პირობების აკომოდაცია;
გ) შეფასების აკომოდაცია;
დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია.

7. ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება ხდება მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, თუ შეუძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლება. ალტერნატიული სასწავლო გეგმა გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს და აღწერს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურისათვის საგნების საგანმანათლებლო სტანდარტს, სწავლების რეკომენდაციებს, მიღწევების, ფუნქციური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებებს. ალტერნატიული სასწავლო გეგმის მიხედვით თითოეული საგანი ისწავლება მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით და მოსწავლეს ფუნქციურ და აკადემიურ ცოდნას აძლევს. ალტერნატიული სასწავლო გეგმა განკუთვნილია მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის როგორც სპეციალიზებულ, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის შემთხვევაში და ასევე შინ სწავლებისას. ალტერნატიული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია – შედეგზე ორიენტირება მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ფოკუსირებული სწავლების ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენებით. გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეების სწავლებისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ხელმძღვანელობს ალტერნატიული სასწავლო გეგმით. ალტერნატიული სასწავლო გეგმა ზოგადი და სპეციალიზებული განათლების სფეროში მოღვაწე ყველა სუბიექტს ავალდებულებს უზრუნველყოს მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მაღალი სტანდარტი, რომლის ფუნდამენტური პრინციპი (ეროვნული სასწავლო გეგმის მსგავსად) – სასწავლო შედეგებზე ორიენტირებაა. ალტერნატიული სასწავლო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: სპეციალიზირებულ სკოლაში საგნის მასწავლებელი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საგნის მასწავლებელი სპეციალური მასწავლებელთან ერთად, შინ სწავლებისას – ყველა ის მასწავლებელი, რომელიც შინ სწავლების პროგრამას ახორციელებს.

მძიმე და მრავლობითი გონებრივი დარღვევების და აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის ალტერნატიულ სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ეროვნული სასწავლო გეგმის XXIX თავით.

<u>ინდივიდუალური სასწავლო გეგმა</u>

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. ინდივიდუალური გეგმის ფორმა დანართის სახით ერთვის სასკოლო სასწავლო გეგმას (იხ. დანართი 4.).

2. სწავლის პროცესში სირთულეების გამოვლენის შემდეგ სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლის გადამისამართება დეტალური შეფასებისთვის სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურ გუნდთან, ხოლო მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების შედეგად განისაზღვრება რეკომენდაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

5. სკოლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი (შემდგომში – ისგ ჯგუფი) მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო მანამდე უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის – ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.

7. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:

ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;

ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;

გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;

დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;

ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც;

ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.

8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

<u>ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი</u>

1. სკოლის ადმინისტრაციის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ის ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.

2. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;

ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;

გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;

დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;

ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.

3. ისგ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს დამრიგებელი.

4. ისგ ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ; ისგ ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.

5. ისგ ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.

6. სასწავლო წლის დასასრულს, ისგ ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევების (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმირი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება შესაბამისი ქულით.

2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.

3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:

ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.

ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.

4. სსსმ მოსწავლის მიმართ ვრცელდება ეროვნული სასწავლო გეგმის მე-8 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები და ექსტერნატის გამოცდის ჩაბარება ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად.

5. თუ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილია, რომ მას აბარებენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობენ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს საგამოცდო მასალის ადაპტირება – უნდა შეიქმნას ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის

საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების განრიგს, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.

2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა ვალდებულია დაადგინოს განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი სკოლის მიერ შერჩეული ფორმატით.

4. შინ სწავლების პროცესში ჩართული უნდა იყოს სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.

5. შინ სწავლების პროცესში დასაშვებია დისტანციური (ინტერნეტისა და ვიდეოკონფერენციების) სწავლების ფორმის გამოყენება.

6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

- სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.
- სკოლის კიბეებზე გაკეთებულია პანდუსი, რომლის საშუალებითაც ისინი იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან.
- სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
- მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
- ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;

- სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდეც, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;
- სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
- ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
- გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
- ექნებათ კომპიუტერის გამოყენების საშუალება;
- სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობები

1. სამინისტროს მიერ ინიცირებულ კონკურსებში მონაწილეობა
2. რესპუბლიკურ და საერთაშორისო ოლიმპიადებში;
3. პროექტები:
    - საგნობრივი კვირეულები;
    - სასწავლო-შემეცნებითი ღონისძიებები;
    - ექსკურსიები;
    - გამოფენები;
    - სპექტაკლები;
    - შეხვედრები გამოჩენილ პიროვნებებთან.
4. სხვადასხვა აქტივობები.

კლასგარეშე ღონისძიებები

მოქალაქეობრივ პატრიოტული ცნობიერების და გარემოს დაცვითი კულტურის განვითარების მიზნით სკოლაში ხშირად მოეწყობა ექსკურსიები, როგორც ქალაქში, ასევე ქალაქგარეთ. შემოქმედი, აქტიური პიროვნების აღზრდის მიზნით ჩატარდება სპექტაკლები, ვიზიტები კინოთეატრში, თეატრში, საბავშვო ბიბლიოთეკაში, მუზეუმებში.

მშობლებთან ურთიერთობა

სკოლა, ოჯახთან ერთად, ზრუნავს მოსწავლის უწყვეტ განვითარებასა და განათლებაზე. მშობელსა და სკოლას შორის დამყარებულია კეთილგანწყობილი ურთიერთობა. სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება.

კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მშობელი ჩართულია სასწავლო პროცესში მშობლებთან ურთიერთობისათვის გამოიყენება:

- ინფორმაციის მიწოდება წერილობით;
- ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ფოსტით;
- ინფორმაციის მიწოდება ტელეფონით;
- ინდივიდუალური შეხვედრები;
- საკლასო კრებები (დასწრებით ან/და ონლაინ);
- ექსკურსიები;
- ელექტრონული ჟურნალი;
- სოციალური ქსელი.

მშობელთა კრება ოფიციალურად გაიმართება წელიწადში 4-ჯერ:

I - გაცნობითი ხასიათის - სასწავლო წლის დასაწყისში

II - პირველი სემესტრის შეჯამება

III - მეორე სემესტრის შუალედური

IV- სასწავლო წლის შემაჯამებელი

მშობელთა კრებაზე მოსწავლეთა ინდივიდუალური დახასიათება და ნიშნების გაცნობა არ დაიშვება - ამისათვის დამრიგებელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე 3 სთ-დან 4 სთ-მდე, განხორციელდება ინდივიდუალური შეხვედრა საგნის მასწავლებლებთან.

დასკვნითი დებულება

სასკოლო სასწავლო გეგმის მოქმედების ვადაა ერთი სასწავლო წელი.

სასკოლო სასწავლო გეგმა განახლებადია წლიური შედეგებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.

სასკოლო სასწავლო გეგმას დანართების სახით ერთვის სასკოლო კურიკულუმები საფეხურების მიხედვით:

დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმი (დანართი 1)

საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი (დანართი 2)

საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი (დანართი 3)